GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

03 Şubat/ თებერვალი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	5023.2	10.5%	20.6 %	9.8 %

Avusturya Cumhuriyeti Federal Şansölyesi Karl Nehammer Gürcistan'a Resmi Bir Ziyaretinde Bulundu

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ავსტრიის ფედერალური კანცლერი კარლ ნეჰამერი ეწვია

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Avusturya Cumhuriyeti Federal Şansölyesi, Karl Nehammer ile görüştü.

Hükümet İdaresinde yer alan yüzyüze görüşmede iki ülke arasındaki gündemin ana yönleri ve mevcut verimli işbirliğini derinleştirme perspektifleri ele alındı.

Avusturya Cumhuriyeti Federal Şansölyesinin ziyaretinin önemini vurgulanıp ziyaretin Avusturya Cumhuriyeti'nin Gürcistan'ın destekçisi olduğunu kanıtladığını kaydedilmiştir.

Başbakana göre, Gürcistan ile Avusturya Cumhuriyeti, ortak Avrupa değerleri ve çıkarları üzerine kurulmuş dostluk ve ortaklık ilişkileri ile bağlılar. Hükümet Başkanı Gürcistan'ın Avusturya Cumhuriyeti için güvenilir bir ortağı olduğunu belirtti.

Görüşmede ayrıca Kafkasya bölgesi ile Avrupa'yı birleştiren Karadeniz denizaltı elektrik kablosu projesinden bahsedildi.

Ülkeler arasında mevcut ekonomik potansiyelin tamamıyla faydalanmasının önemi vurgulandı.

Sn. İrakli Garibashvili Tiflis'e resmi bir ziyaretinde bulunan Avusturya Cumhuriyeti Federal Şansölyesi Sn. Karl Nehammer ile Avusturya Heyeti akşam yemeğinde ağırladı.

Avusturya Cumhuriyeti Federal Şansölyesi onuruna Mtatsminda'da resmi bir akşam yemeği düzenlendi.

Sn. İrakli Garibashvili ile Sn. Karl Nehammer Mtatsminda'ya teleferikle çıktılar ve Tiflis manzarasını gözden geçirdiler.

Günün sonunda Başbakanımız Avusturya Cumhuriyeti Federal Şansölyesi Shota Rustaveli Tiflis Uluslararası Havalimanından yolcu etti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს კარლ ნეჰამერს შეხვდა.

ARKAS EFES LC WAIKIKI TBC BANK MAQRO nurol SİSECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პირისპირ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები და არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

ხაზი გაესვა საქართველოში ავსტრიის ფედერალური კანცლერის ვიზიტის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ ეს ვიზიტი ადასტურებს ავსტრიის რესპუბლიკის ძლიერ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას მჭიდრო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებთ, რომელიც საერთო-ევროპულ ღირებულებებსა და ინტერესებზეა დაფუძნებული. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ავსტრიის რესპუბლიკას საქართველოს სახით საიმედო პარტნიორი ჰყავს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს კავკასიის რეგიონისა და ევროპის დამაკავშირებელი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის ისტორიული პროექტი.

ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს კარლ ნეჰამერსა და ავსტრიის დელეგაციას ვახშამზე უმასპინძლა.

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის პატივსაცემად მთაწმინდაზე ოფიციალური ვახშამი გაიმართა.
ირაკლი ღარიბაშვილმა და კარლ ნეჰამერმა მთაწმინდამდე ფუნიკულიორის ტრამვაით იმგზავრეს და თბილისის ხედები დაათვალიერეს.
დღის ბოლოს, პრემიერ-მინისტრმა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გააცილა.

Borusan CAT Georgia "Spektri" Meslek Okulu'nda Eğitim Merkezi Açtı

ბორუსან კატ საქართველომ კოლეჯ „სპექტრში" სასწავლო ცენტრი გახსნა

Borusan CAT 2023 yıla yenilikle başladı ve 2 Şubat'ta Meslek Okulu "Spektri"de kendi girişimi ve maddi desteği ile bir eğitim merkezi açtı.
Borusan CAT beşeri sermayeye özellikle önem veren bir firmadır.
Şirketin Meslek Okulu "Spektri" ile uzun bir geçmişi var. Staj programı kapsamında birçok Meslek Okulu öğrencisi staj yapıp istihdam edildi.

“Spekri” Meslek Okulu müdürü, Sn. Mate Takidze’nin dediği gibi, yeni bir eğitim merkezinin açılmasıyla birlikte, Meslek Okulu öğrencilerine çağdaş ekipmanlarla çalışma fırsatı verilecek, bu ise onların mesleki gelişmelerini sağlayacaktır.
Etkinliğin şeref konukları arasında Türkiye Cumhuriyeti Tiflis Büyükelçiliği Eğitim Müşaviri, Sayın Suat Kolukırık; Gürcistan Eğitim ve Bilim Bakanlığı Mesleki Eğitimi Geliştirme Bölümü Başkanı, Sayın Tamar Kvinikadze; Mesleki Beceriler Ajansı İkili Eğitim Geliştirme Koordinatörü, Sayın Petre Tsulukidze ile Borusan CAT ve “Spektri” Meslek Okulu temsilcileri bulundular.

2023 წელი კომპანია ბორუსან კატმა სიახლით დაიწყო და 2 თებერვალს კოლეჯ „სპექტრში“ თავისი ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით სასწავლო ცენტრი გახსნა.
ბორუსან კატი არის კომპანია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანურ კაპიტალს ანიჭებს.
კოლეჯ „სპექტრთან“ კომპანია ბორუსან კატს ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს. სტაჟირების პროგრამით თანამშრომლობის ფარგლებში უკვე არა ერთმა კოლეჯის სტუდენტმა გაიარა სტაჟირება და დასაქმდა კიდეც.
კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორ მათე ტაკიძის თქმით, ახალი სასწავლო ცენტრის გახსნით, კოლეჯის სტუდენტებს თანამედროვე აღჭურვილობასთან მუშაობის შესაძლებლობა მიეცემათ, რაც მათ პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.
ღონისძიების საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი განათლების საკითხებში ბატონი სუათ ქოლუქირიქი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი თამარ კვინიკაძე, პროფესიული უნარების სააგენტოს დუალური სწავლების განვითარების კოორდინატორი ბატონი პეტრე წულუკიძე, ბორუსან კატისა და კოლეჯ „სპექტრის“ წარმომადგენლები.

Sayın İrakli Garibashvili Sağlık Bakanı ve Bakan Yardımcılarıyla Toplantı Düzenledi

ირაკლი ღარიბაშვილმა ჯანდაცვის მინისტრთან და მოადგილეებთან სამუშაო თათბირი გამართა

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili İşgal Edilen Bölgeler, İşgücü, Sağlık ve Sosyal Güvenlik Bakanı, Sayın Zurab Azarashvili ve Bakan Yardımcılarıyla toplantı düzenledi.
Toplantıda Bakanlık tarafından kaliteli ilaçlara ulaşılırlığı artımak adına yürütülecek faaliyetleri görüşüldü. Bakan ile Bakan Yardımcıları ilaçlara uygulanmış referans fiyatın 15 Şubattan itibaren faal hale geleceğini belirttiler. Ayrıca Türk ilaç pazarının açılması sonucunda Gürcistan nüfusunun yılda 200 milyon ABD doları tasarruf edeceğini açıklandı.

2023 yılında aşağıdakiler planlanmaktadır:

- Referans fiyatlara göre düzenlenen ilaç listesinin genişletilmesi (Temel İlaçlardan)
- Yüksek fiyatlı ilaç üreticileriyle doğrudan anlaşma yapmak için Managed Entry Agreements sisteminin uygulanması
- İlaç kalitesini inceleyen laboratuvarın faaliyete geçirilmesi;
- Kronik hastalıkları ilaçlarının kapsama oranının genişletilmesi (İlk çeyreğinde ilaçları finanslama limitlerinin tekrar değerlendirilmesi tamamlanacaktır)

Bakan ile Bakan Yardımcıları Başbakana planlanan halk sağlığı koruma amaçlı tedbirleri tanıttılar. 2023 yılında 590 000'den fazla kişiye Hepatit C testinin yapılması, 2026 yıl için ise Hepatit C'nin bütünüyle elenmesi planlanıyor.
Toplantıda planlanan ambulans hizmetlerine yönelik değişikliklerine değinildi. Bu doğrultuda 2023 yılında aşağıdakiler planlanmaktadır:

- Felç yönetimi için ayrı bir dalın (Stroke Unit) oluşturulması, böylece felç geçiren hastalara uzmanlaşmış bir takım gönderilecektir;
- Filoda 5 yaşından büyük bir araç kalmayacak şekilde 70 adet yeni ambulans aracın alınması

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ზურაბ აზარაშვილთან და მის მოადგილეებთან სამუშაო თათბირი გამართა.
სამუშაო თათბირზე განხილულ იქნა ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. მინისტრმა და მოადგილეებმა აღნიშნეს, რომ 15 თებერვლიდან ძალაში შევა მედიკამენტებზე დაწესებული რეფერენტული ფასები. ასევე აღინიშნა, რომ თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის

ARKAS EFES LC WAIKIKI İŞBANK MAQRO nurol SİSECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

შედეგად, საქართველოს მოსახლეობა წლიურად, დაახლოებით, 200 მილიონ ლარამდე დაზოგავს.

2023 წელს დაგეგმილია:

- რეფერენტული ფასებით დარეგულირებული მედიკამენტების ნუსხის გაფართოება (ესენციური მედიკამენტებიდან);
- ძვირადღირებულ მედიკამენტებზე უშუალოდ მწარმოებელთან პირდაპირი კონტრაქტის (Managed Entry Agreements) მექანიზმის დანერგვა;
- წამლის ხარისხის ლაბორატორიის სრულად ამოქმედება;
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების მოცვის პაკეტის გაუმჯობესება (პირველ კვარტალში დასრულდება მედიკამენტების დაფინანსების წლიური ლიმიტების გადახედვა).

მინისტრმა და მოადგილეებმა პრემიერ-მინისტრს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები გააცნეს. აღინიშნა, რომ 2023 წელს C ჰეპატიტზე 590 ათასზე მეტი პირის სკრინინგია დაგეგმილი, 2026 წლისთვის კი C ჰეპატიტის სრული ელიმინაცია იგეგმება.
სამუშაო თათბირზე საუბარი შეეხო სასწრაფო-გადაუდებელი დახმარების სამსახურის მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებს. ამ მიმართულებით 2023 წელს დაგეგმილია:

- ინსულტის მართვის ცალკე მიმართულების შექმნა (stroke unit), იმისთვის, რომ ასეთი გამოძახების შემთხვევაში გამოძახებაზე პირდაპირ სპეციალიზებული ბრიგადა გავიდეს;
- 70 ახალი სტანდარტული სასწრაფოს მანქანის შეძენა, რის შედეგადაც ავტოპარკში აღარ იქნება 5 წელზე უფრო ძველი მანქანები

Yeşil Hafta 2023
მწვანე კვირეული 2023

Almanya'da düzenlenen "Yeşil Hafta 2023" fuarında açılmış Gürcistan standı uluslararası basında tepki görmüş oldu.
Berlin'de en büyük uluslararası gıda, tarım ve bahçıvanlık fuarlarından biri olan "Yeşil Hafta 2023" (Grüne Woche 2023) kapsamında Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığının desteği ile Gürcistan standı açıldı. Standda 16 Gürcü şirketi izleyicilere kendi ürünlerini tanıttı.
Gürcistan standında sergilenmiş ürünler fuarın üst sınıf ziyaretçilerin ilgi ve beğenisini gördü.

Gürcistan standı Almanya'nın Gıda ve Tarım Bakanı, Almanya Yeşiller Partisi'nin Eş Başkanı, Sayın Cem Özdemir ile Berlin Belediye Başkanı, Sayın Franziska Giffey ziyaret ettiler. Misafirleri Çevre Koruma ve Tarım Bakanı, Sayın Otar Shamugia ağırlayıp onlara Gürcü şarabı ile geleneksel yemekleri ikram etmişti.
Sn. Cem Özdemir ile Sn. Franziska Giffey fuarda sergilenmiş yemekler arasında özellikle Khachapuri'nin lezzetli olduğunu, Gürcü şarabın ise özel bir tat ve aroma sahibi olduğunu bir ağızdan itiraf ettiler.

Almanya'nın Gıda ve Tarım Bakanı, Sn. Cem Özdemir Gürcistan standını ziyaret sırasında Almanya'nın Gürcistan'nın Avrupa Birliğine girmesini desteklediğini vurguladı.
Fuarda Gürcü tarım ürünlerinin başarısı uluslararası basında da tepki gördü. Birkaç gazete Gürcü ürünleri hakkında makale yayınladı.

გერმანიაში გამოფენაზე „მწვანე კვირეული 2023“ წარმოდგენილ ქართულ სტენდს საერთაშორისო პრესაში გამოხმაურება მოჰყვა.

ბერლინში, სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე

„Khachapuri war das Beste“

Cem Özdemir probiert sich durch die Grüne Woche – und macht um die Tierhalle einen großen Bogen

ბაბუოფნაზე „მწვანე კვირეული 2023“ წარმოდგენილი
ქართული სტენდი საერთაშორისო პრესის
ყურადღების ეპიცენტრში

მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირეული 2023" (Grüne Woche 2023), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სტენდი იყო წარმოდგენილი. სტენდზე 16-მა ქართულმა კომპანიამ საკუთარი პროდუქცია გამოფენის დამთვალიერებელს გააცნო.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სტენდზე წარმოდგენილმა პროდუქციამ გამოფენის მაღალი რანგის სტუმრების და ვიზიტორების განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ქართული სტენდი გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ფედერალურმა მინისტრმა, გერმანიის მწვანე პარტიის ლიდერმა, ჯემ ოზდემირმა, ბერლინის მერმა და გერმანიის სოციალ დემოკრატების პარტიის წევრმა, ფრანცისკა გიფეიმ დაათვალიერეს. სტუმრებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ უმასპინძლა, ქართული პროდუქცია გააცნო და ქართულ ღვინოსთან ერთად, ტრადიციული კერძები დააგემოვნებინა.

ჯემ ოზდემირმა და ფრანცისკა გიფეიმ ერთხმად აღიარეს, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ კერძებს შორის, ქართული ხაჭაპური განსაკუთრებულად გემრიელი იყო, ხოლო ღვინის სამშობლოში, საქართველოში ჩამოსხმულ ღვინოს გამორჩეული არომატი და გემო აქვს.

ქართულ სტენდზე სტუმრობის დროს, გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ფედერალურმა მინისტრმა, ჯემ ოზდემირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას.

გამოფენაზე ქართული აგროსასურსათო პროდუქციის წარმატებას საერთაშორისო პრესაც გამოეხმაურა; არაერთმა გაზეთმა ქართული პროდუქციის შესახებ სტატია გამოაქვეყნა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SİSECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Altın İhracatı

ოქროს ექსპორტი

Gürcistan 2022 yılında işlenmemiş ve yarı işlenmiş altın ihracatından 81 476 000 ABD Doları geliri elde edip yurtdışına 2 ton'dan daha fazla altın sattı.
Geostat verilerine göre, geçen 5 yıl boyunca altın ihracat ürünleri sıralamasında 8-10. sırada yerini almışken, geçen sene en büyük ihraç ürünleri listesinde bulunmamıştı. En büyük ihracat ürünleri listesinde dahil olmamasına rağmen, 2022 yılında işlenmemiş altın ihracatı %26.8 oranında artıp, satılan ürünleri sıralamasında 12. Sırada yerini aldı.
Geçen sene Gürcistan'dan işlenmemiş veya yarı işlenmiş altın toplam 4 ülkeye satıldı, anapazar İsviçredir, satılan altının %93.8'i İsveçre'ye satıldı. İhracat ülkelerin sıralaması aşağıdaki gibidir:

1. İsviçre- 76.5 Milyon ABD Doları, 2.5 Ton;
2. Almanya- 2.6 Milyon ABD Doları, 0.07 Ton;
3. Türkiye- 1.2 Milyon ABD Doları, 0.03 Ton;
4. Birleşik Arap Emirlikleri- 1.1 Milyon ABD Doları, 0.03 Ton.

İşlenmemiş altın ithalatına gelince, geçen sene mal alım oranı 12 000 ABD Dolarına kadar düşmüştü. İthal ülkeler arasında Rusya (5 600 ABD Doları); Almanya (4 100 ABD Doları); İtalya (1000 ABD Doları); Fransa (800 ABD Doları) ve Türkiye (200 ABD Doları) yer almaktadır.

2022 წელს საქართველომ დაუმუშავებელი ან ნახევრადდაუმუშავებელი ოქროს ექსპორტით 81 მილიონ 476 ათასი დოლარის შემოსავალი მიიღო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ 2 ტონაზე მეტი საქონლის რეალიზება მოხდა.
საქსტატის მონაცემებით, გასულ წელს უმსხვილეს საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში ოქრო აღარ გვხვდება, მაშინ როდესაც გასული 5 წლის განმავლობაში აღნიშნული პროდუქტი საექსპორტო საქონლის რეიტინგში მერვედან მეათე ადგილებს იკავებდა. მიუხედავად იმისა, რომ ოქრომ უმსხვილესი საქონლის ჩამონათვალში არ მოხვდა, 2022 წელს, დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტი 26.8%-ით გაიზარდა და რეალიზებული საქონლის რეიტინგში მე-13 ადგილი დაიკავა.
გასულ წელს დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული ოქრო საქართველოდან სულ 4 ქვეყანაში გაიყიდა, მთავარი ბაზარი კი შვეიცარია იყო. ოქროს რეალიზების 93.8% სწორედ შვეიცარიაზე მოდის. საექსპორტო ქვეყნების რეიტინგი კი ასეთია:

1. შვეიცარია - 76.5 მლნ დოლარი, 2.5 ტონა;
2. გერმანია - 2.6 მლნ დოლარი, 0.07 ტონა;
3. თურქეთი - 1.2 მლნ დოლარი, 0.03 ტონა;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SISECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

4. არაბთა გაერთიანებული საამიროები - 1.1 მლნ დოლარი, 0.03 ტონა.

რაც შეეხება დაუმუშავებელი ოქროს იმპორტს, გასული წლის განმავლობაში საქონლის შესყიდვის დაბალია მაჩვენებელი ფიქსირდება, რომელიც 12 ათას დოლარამდეა. საიმპორტო ქვეყნებს შორის არიან რუსეთი (5 600 დოლარი), გერმანია (4 100 დოლარი), იტალია (1000 დოლარი), საფრანგეთი (800 დოლარი), თურქეთი (200 დოლარი).

Baharat Üretim Tesisi "Igoeti" Ürünlerini İhraç Etmeyi Planlıyor
სუნელების საწარმო „იგოეთი" პროდუქციის ექსპორტზე გატანას გეგმავს



Kaspi Belediyesinde faaliyet gösteren baharat üretim tesisi ürünlerini ihraç etmeyi planlıyor.
Çevre Koruma ve Tarım Bakan Yardımcısı, Sn. Giorgi Khanishvili'ye Kaspi Belediyesinde işleyen LLC "Igoeti"- baharat üretim tesisinin faaliyetleri tanıtıldı.
LLC "Igoeti"nin üretim tesisi pandemi döneminde, 2020 yılında kurulmuş olup 18 çeşit baharat üretmektedir. İşletmede Risk Analizi ve Kritik Kontrol Noktası –HACCP Sistemi uygulanmaktadır. Ürünleri yerel pazar ve süpermarket zincirlerinde satın alınabilir.
Firmanın ticari yönetmeni, Sn. Vazha Iluridze'ye göre, cari yılın ilk yarısında ürünleri ihracat etmeyi planlıdır; müzakereler ABD; Japonya; Hollanda ve Kazakistan ile devam etmektedir.
Sn. Giorgi Khanishvili Hükümet tarafından pazar çeşitlendirmesi yolunda gösterilmiş olduğu faaliyetlerin sonucu olarak, üreticilerin dünyanın hemen hemen her ülkeye ihracat yapabilmelerini belirtti.

კასპის მუნიციპალიტეტში მოქმედი სუნელების საწარმო პროდუქციის ექსპორტზე გატანას გეგმავს.
კასპის მუნიციპალიტეტში მოქმედი შპს „იგოეთის" სუნელების საწარმოს საქმიანობას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი გაეცნო.
შპს „იგოეთის" საწარმო, რომელიც 2020 წელს პანდემიის პერიოდში შეიქმნა, 18 დასახელების სუნელს აწარმოებს. საწარმოში დანერგილია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP). პროდუქციის შეძენა შესაძლებელია ადგილობრივ ბაზარზე, ქსელურ სუპერმარკეტებში.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SISECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

კომპანიის კომერციული დირექტორის ვაჟა ილურიძის განცხადებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაგეგმილია პროდუქციის ექსპორტზე გატანა; მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-ის, იაპონიის, ნიდერლანდებისა და ყაზახეთის მხარესთან.
ბატონმა გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით განხორციელებული აქტიური ქმედებების შედეგად, მეწარმეებს საშუალება აქვთ პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში განახორციელონ ექსპორტი.

Ekonomik Büyümenin Ön Değerlendirmesi (Aralık2022)
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება (დეკემბერი 2022)

Aralık 2022'de bir önceki yılın aynı dönemine göre Gayri Safi Yurtiçi Hasılanın (GSYİH) büyümesi %11,0; 2022 yılın ortalama büyüme oranı ise %10.1'i teşkil etmiştir.

Aralık 2022'de bir önceki yılın aynı dönemine göre inşaat; işleme sanayi; ulaştırma ve depolama; finans ve sigortacılık faaliyetleri; ticaret; otel ve restoran işi büyümeye önemli ölçüde katkı sağladı.



2022 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 11.0% შეადგინა, ხოლო 2022 წლის საშუალო მაჩვენებელი 10.1%-ია.

2022 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SISECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan'da 330 Yeni Ana Okulu İnşa Etmiş Olup 555 Var Olanı ise Tamir Ettirilecektir

საქართველოში 330 ახალი ბაღი აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 555 არსებულ საბავშვო ბაღს

Gürcistan'da Savaş ve İstihbarat Dronları Üretilmeye Başlanacak

საქართველოში საბრძოლო და სადაზვერვო დრონების წარმოება იწყება

Ulusal Gıda Ajansı 100'den Daha Fazla Tesiste Kritik Uyumsuzluğu Tespit Etti

სეს-მა კრიტიკული შეუსაბამობა 100-ზე მეტ ობიექტში გამოავლინა

Artık Liberty Bank Bankamatiklerinde Apple Pay ve Google Pay İle Herhangi Bir Operasyon Yapılabilir

ლიბერთი ბანკის ბანკომატებში Apple Pay-ს და Google Pay-ს გამოყენებით უკვე შესაძლებელია ნებისმიერი ოპერაციის შესრულება

Gürcistan-Japonya Ticaret Cirosu 322 Milyon ABD Doları'na Kadar Arttı

საქართველო-იაპონიის სავაჭრო ბრუნვა $322 მლნ-მდე გაიზარდა

Tiflis Belediyesi Rus Firması "Metrovagonmash"tan Metro Vagonlarını Satın Alacak

თბილისის მერია მეტროს ვაგონებს რუსული კომპანია „მეტროვაგონმაშ"-ისგან შეიძენს

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SISECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ExxonMobil'in Kazanç ve Geliri Rekor Bir Artış Gösterdi

ExxonMobil-ის მოგება და შემოსავლები რეკორდულად გაიზარდა

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6474 TRY/GEL – 0.1407 EUR/GEL – 2.9087 GBP/GEL – 3.2605

USD/GEL
27 -03 Şubat 2023

USD/TR
27 -03 Şubat 2023



TRY/GEL
27 - 03 Şubat 2023

BTC – 22 949. 02
27 -03 Şubat 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI თბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SİSECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING